პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამოცემის მეოთხე წელი

№ 34 (275)
პარასკევი,
25
დეკემბერი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Газета Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА



სურათზე: ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რუხული განყოფილების V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ზურაბ ჭელიძე ლაბორატორიაში მუშაობს თავისი სადიპლომო შრომის მასალების შესწავლაზე.

ფოტო გ. გაგუნიასი

პარტიული ბიუროები ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის სამზადისში

საგამოცდო სესიები წარმოადგენს ფაკულტეტების მიერ სემესტრის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შეჯამებას.

ეჭვსგარეშეა, რომ კარგი მომზადებით დაბრძანდებენ გამოცდებს იმ ფაკულტეტების სტუდენტები, სადაც სემესტრის განმავლობაში პარტიული ბიუროები დეკანატებთან ერთად დაუღალავად იბრძოდნენ სასწავლო პროცესის სწორად დაყენებისათვის, სტუდენტ-ახალგაზრობაში შეგნებული დისციპლინის ამაღლებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს მექანიკა-მათემატიკის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ფიზიკის, იურიდიული ფაკულტეტების პარტიულმა ბიუროებმა. ისინი სისტემატურად იხილავდნენ თავიანთი ფაკულტეტების მატკივნეულ საკითხებს და სახადენენ კონკრეტულ ღონისძიებებს. მაგალითად: მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პარტიულმა ბიურომ (მდივანი მ. კუკულაძე) ნოემბრის თვეში სპეციალურად შეისწავლა ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დაწრების საქმე. ბიურომ მკაცრად ამხილა ამ საქმეში კომკავშირულ-პროფკავშირული ორგანიზაციების ნაკლოვანებანი, რიგი ლექტორების მხრივ ლექციებზე სტუდენტთა დაწრების საკითხისადმი ზერელედ მიდგომის ფაქტები და მიიღო კონკრეტული დადგენილება ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბიუროს შუამდგომლობით მკაცრად დაისაჯნენ ლექცია-სემინარების სისტემატურად გამცდენი სტუდენტები ვ. ავალიშვილი, ჯ. ბაღდოური, ჯ. ხარიტონაშვილი და სხვ. სესიებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საკითხი დროულად მოისმინეს ავრცელებულ ფილოლოგიის, ისტორიის, დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის და სხვა ფაკულტეტების პარტიულმა ბიუროებმა.

ერთი შეხედვით, სესიებისათვის მზადების საქმეში მუშაობა თითქოს ყველგან დამაგმყოფილებელია, მაგრამ ამ საკითხის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ზოგი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

რიგი ჰუმანიტარული ფაკულტეტების პარტიული ბიუროები არ დაინტერესებულან სტუდენტთა პროგრამებით უზრუნველყოფის საკითხით. თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საგნის შესწავლისათვის სტუდენტთა დროულად უზრუნველყოფას სასწავლო პროგრამებით. ჯერ კიდევ არაა, მაგალითად, დაბეჭდილი პროგრამები საზოგადო-პოლიტიკური ლექციებისათვის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა, სსრ კავშირის ფიზიკური გეოგრაფიისა, პოლიტიკური ეკონომიის (150 საათიანი კურსისათვის), ახალი ისტორიისა და ა. შ. უკეთ მოავრცდება სასწავლო წლის პირველი ნახევარი და მხოლოდ ახლა იბეჭდება სემინარების სანიმუშო გეგმები და სკამ ისტორიაში, მაშინ, როდესაც ეს საქმე სემესტრის დამდეგს უნდა გაეთებულიყო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პარტიული ბიუროების უურადღებიდა დაქმაყოფილებულა ზამთრის სესიებისათვის მზადების ზოგადი საკითხის მოსმენით. ჩვენი აზრით კი აუცილებელი იყო, პარტიული ბიუროების სპეციალურ კომისიებს სემესტრის განმავლობაში სისტემატურად შეესწავლათ სასწავლო პროცესის ცალკეული საკითხები, როგორიცაა: პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტთა მონაწილეობა, სემინარების ორგანიზაცია ცალკეულ ჯგუფებში, კომუნისტი სტუდენტების როლი ფაკულტეტის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, ცალკეულ საგნებში სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მდგომარეობა, სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მუშაობა სტუდენტებისათვის დახმარების გაწევის თვალსაზრისით და ა. შ.

იმედია, რომ სემესტრის დამთავრებამდე დარჩენილი მცირე დროის მოხმარებით და სესიების მსვლელობის პერიოდში ფაკულტეტების პარტიული ბიუროები ყველაფერს გააკეთებენ მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, რათა ორგანიზებულად და მაღალი მოთხოვნებით ჩავეკაროთ ზამთრის საგამოცდო სესიებს.

ზ. ᲨᲔᲕᲔᲚᲘᲫᲔ

შეხვედრა კონსტანტინე გამსახურდიასთან

18 დეკემბერს სტუდკლუბში მოეწყო შეხვედრა გამოჩენილ ქართველ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სტუდკლუბის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ბარძიმ. მწერალს ეხოვრებოდა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მწერალი გ. ნატროშვილი.

გამსახურდიასდმი მიძღვნილი საუთარი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ზურა ბოლქვაძემ.

მწერალს მოასხელებული სიტყვებითა და საყურადღებო ლექციებით მიმართეს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ჯ. თინმერიამ, გ. შეთკოყელამ, გ. ლაბაძემ, შ. კოხტანტინიამ, რ. ჩაზნაძემ.

თავის მოკლე სიტყვაში კ. გამსახურდიამ სტუდენტებს მოუწოდა შეეუპყარი და თანმიმდევრული, ნაყოფიერი შრომისა და სანიმუშო სწავლისაკენ.

დასასრულ, სსრკავშირ-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებისა და ფილარმონიის მსახიობთა ძალუხით გაიმართა კონცერტი.

ლ. ᲛᲔᲓᲐᲠᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მეგობრობის სალამო

ამ ბოლო ხანებში უნივერსიტეტში შეინიშნება ტენდენცია დამკვიდრდეს: ქუთაისი ურთიერთობაგებისა, მეგობრობის ფიცის ცეკლის მიზნით ხშირად ეწყობა შეხვედრები უნივერსიტეტისა და სხვა ინსტიტუტების სტუდენტებს შორის.

ამასწინათ ერთ-ერთი ასეთი მეგობრობის საღამო მოეწყო ბიოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული ბიუროსი (მდივანი ი. ჭეჭელაშვილი) და პროფკავშირული (თავმჯდომარე ჯ. ჩიკვაძე) ბიუროების ინიციატივით. ამჯერად ბიოლოგები შეხვდნენ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სპკურნალო ფაკულტეტის სტუდენტებს.

საღამო გახსნა III კურსის სტუდენტმა ნ. კაკაბაძემ. სასურველ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ბიოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული ბიუროს მდივანმა იზოლდა ჭეჭელაშვილმა. სტუმრების სახელით მოგვესალმა სამკურნალო ფაკულტეტის კომკავშირული ბიუროს მდივნის მოადგილე — ჯოხაძენაძე.

მეგობრობის საღამოზე მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ფაკულტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სსრკავიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტის ზურა ლუღუნიშვილის მიერ შესრულებულმა ანტიკაციამ, ბიოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა შ. რუსიშვილმა კარგად შეასრულა რომანტიკული ლირიკული სიმღერა. კარგი იყო აგრეთვე ბიოლოგიის ფაკულტეტის სიმეფო (57-ე) სკოლის მოსწავლეთა გამოსვლები. სინტეზისად შესრულდა ქორეოგრაფიული ნომრებიც. სალამო მიმყავდათ ბიოლოგიის ფაკულტეტის მეორეკურსელ სტუდენტებს—კორნელი კილუაძეს და ზურა ლუღუნიშვილს.

ბოლოს გაიმართა სამეჯლისო ცეკვები.

აᲘᲖᲔ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ,
ბიოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

მკითხველთა უკეთ მოსახურეგისათვის

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეშვეობით განსაკუთრებით გააძლიერეს მუშაობა ზამთრის საგამოცდო სესიების წინ. გამოცდების მოახლოებასთან დაკავშირებით დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა ბიბლიოთეკაში მის სამკითხველო დარბაზებში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მკითხველებმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, დიდეული მეცნიერის ეახლეს მოღწეულები.

სამკითხველო დარბაზები დაკომპლექტებულია უაღრესი პოლიტიკური, მეცნიერული, მხატვრული სასწავლო და საცნობარო ლიტერატურით, სპეციალური სახელმძღვანელოების დამატებით ეგზემპლარებით. სამკითხველო დარბაზებს უკვე გადაეცა სკკპ ისტორიის ახალი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, პოლიტიკური ეკონომიის ახალი სახელმძღვანელო, ა. გ. კურაშის უმაღლესი აღგებების კურსი, გ. მ. ფინტენზოლეის დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლების კურსის II ტომი, ს. ე. ფრიშისა და ა. ე. ტამარკინის ზოგადი ფიზიკის კურსის III ტომი რუსულ ენაზე და სხვ.

ჩვენს სტუდენტობას უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში და სტუდენტთა ქალაქში ულ 3 სამკითხველო დარბაზი ემსახურება, რომლებშიც ერთდროულად 300-მდე კაცს შეუძლია მეცადინეობა, ეს დარბაზები ყოველდღიურად 1000—1200 კაცს უწევს მომსახურებას. გარდა ამისა, სტუდენტებს ამ პერიოდში აგრეთვე სასწავლო კაბინეტებსა და მათ განკარგულებაში მყოფ მდიდარ წიგნად ფონდს. სტუდენტები დიახად სარგებლობენ სტუდენტთა ბინებენტებითაც, რომელიც აწარმოებს წიგნების სახლში გაცემას. ახლა ყოველდღიურად ბიბლიოთეკიდან 120—150 კაცს გაჰქვს მათთვის საჭირო წიგნი. სულ დეკემბრის თვეში სტუდენტთა პირნებენტით ისარგებლა 2600 კაცმა.

სტუდენტთა უკეთ მომსახურების მიზნით სამკითხველო დარბაზებს დაემატა სამი ახალი თანაშრომელი, ხოლო 1 იანვრიდან განწრაფებულია უნივერსიტეტის II კორპუსში ზამთრის საგამოცდო სესიებთან დაკავშირებით დამატებით გაიხსნას სამკითხველო.

Ფ. ᲙᲕᲐᲕᲐᲫᲔᲚᲐᲫᲔ.
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზების განყოფილების გამგე.

საჭიროა მოწესრიგდეს

კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენ, უნივერსიტეტის სტუდენტები, წარვსდგებით ზამთრის საგამოცდო სესიების წინაშე. გამოცდების მაღალი ვადებმორი მოუნებებით დამთავრებისათვის აუცილებელი პირობაა სტუდენტთა კარგი მომზადება საგამოცდო საგნებში.

სტუდენტთა ცოდნით შეიარაღების საქმეში, დიდი წელილი შეაქვს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამკითხველო დარბაზს. სტუდენტთა დიდი ნაწილი აქ ემზადება გამოცდებისათვის, კითხულობს სათანადო ლიტერატურას, ეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს. მაგრამ სტუდენტთა ნორმალური მეცადინეობისათვის ჩვენს სამკითხველო დარბაზში (1 კორპუსი) ნორმალური პირობები არ არის. საქმე იმაშია, რომ სამკითხველო დარბაზში იდეალური წესრიგისა და სიწყნარის ნაცვლად ძლიერი ხმაური და ზედმეტი მოძრაობაა. დარბაზის კუთხეებში და ზოგჯერ ცენტრშიც სტუდენტები ისე ხმამაღლა საუბრობენ, რომ მეცადინეობა ყოველად შეუძლებელია.

სამკითხველო დარბაზში რომ ასეთი არანორმალური მდგომარეობაა, ამაში დამნაშავე პირველ რიგში, თვით სტუდენტებია, რომელთა შორის, სამწუხაროდ, ბევრი კომუნისტი და კომკავშირელიცაა დანარჩენ სტუდენტებს არ ყოფნით გამბედაობა, რომ შეინიშნა მისცენ მეზობელ მაგიდებზე ისხდომ ამხანაგებს, რომლებიც წესრიგს არღვევენ.

ამ მხრივ ინტერესებს იჩენენ სამკითხველო დარბაზის თანაშრომლებიც, რომელთაც ჯერ არცერთი წესრიგის დამრღვევი სტუდენტის შესახებ არ დაუყენებიათ საკითხი შესაბამისი დეკანატებისა და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პარტიული და კომკავშირული ბიუროების მცივნები და დეკანატების წარმომადგენლები იშვიათად შედიან სამკითხველო დარბაზში; ისინი ნაკლებად ინტერესდებიან იქ არსებული მდგომარეობით. დასამალი არაა ის ფაქტი, რომ ბევრ სტუდენტებს ქცევაზე გარკვეულ დადებით გავლენას ახდენს, როდესაც მათ შორიდან აკონტროლებენ, აკონტროლებენ.

საქმირო დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს დისციპლინა სამკითხველო დარბაზებში. ამ საქმეში პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ბიუროებთან და დეკანატებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღოს სტუდენტთა ფართო აქტივმაც.

Დ. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲓᲐᲔ, ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ

ყველაფერი რიგზე იყო თითქოს: შედგენილი იქნა გეგმები და ბიოლოგიის ფაკულტეტთა სტუდენტთა პროფბიუროს შეუდგა მათს რეალიზებას. ერთმანეთს მისდევდნენ ექსკურსიები, ლოლქმორი სვლები კინოთეატრებში, შეხვედრები, დასვენების საღამოები. რამდენჯერმე შემოწმდა სტუდძალქში მცხოვრებ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები, სტუდენტთა დასწრება ლექცია-სემინარებზე, პრაქტიკულ და ფიზკულტურულ მეცადინეობებზე. მაგრამ... შემოწმების შედეგები მხოლოდ უბის წიგნაკებში რჩებოდა. საფაკულტეტო ცხოვრების არც ერთი მატკივნეული საკითხი პროფბიუროს თავის სხდომაზე მსჯელობის საგნად არ გაუხდია.

ასე იყო ერთი თვის წინათ. უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომის მთითოების შემდეგ პროფბიურომ თავისი მუშაობის ეს ხარვეზი გამოასწორა და, თუ ახლა ეს ამბავი გავიხსენეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ფაკულტეტებიც პროფბიუროებმაც გაითვალისწინონ ჩვენი მწარე გაკვეთილი და თუ ასეთ ნაკლს მათ მუშაობაშიც აქვს ადგილი, მანამდე გამოასწორონ, სანამ ზემოდან მითითება დახვრებოდეთ. აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: უკეთესია ისწავლო სხვის შეცდომებზე, ვიდრე საკუთარზე.

ჯ. ᲩᲘᲙᲕᲐᲫᲔ,
ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე

ი. ბ. სტალინის დაბადების 80 წლისთავი

80 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც დაიბადა ღირსი ბესარიონის ძე ჯუღაშვილი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი შესანიშნავი ხელმძღვანელი, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის ისტორიასთან, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის რევოლუციურ ბრძოლასთან კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სტალინი, ლენინის ერთგული მოწაფე, ცარიზმის პერიოდში, იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში ეწეოდა დიდ რევოლუციურ და ორგანიზატორულ მუშაობას ბოლშევიკური პარტიის — თბილისში, ბაქოში, პეთერბურგში, ტოლ შემდეგ პეტროგრადში.

შეიდჯერ დაასახლეს სტალინი მეფის სისხლხორცი პოლიციის, ჟანდარმერიის გადასახლეს იგი, ხუთჯერ გაიპარა გადასახლებიდან.

ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის წლებში ი. ბ. სტალინი იყო პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე. იგი იყო რსდმპ ტამპორფორსის კონფერენციის დელეგატი 1905 წელს და რსდმპ IV ყრილობის დელეგატი 1906 წელს. 1912 წელს პრაღის პარტიულ კონფერენციაზე გადასახლებაში მყოფი სტალინი დაუსწრებლად აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად და მას შემდეგ უცვლელად, სიცოცხლის ბოლომდე იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

დაბრუნდა რა უკანასკნელი გადასახლებიდან პეტროგრადში თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ი. ბ. სტალინი ბოლშევიკური პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში.

1917 წლის ოქტომბრის დღეებში ი. ბ. სტალინი ა. ს. ბუბნოვთან, ფ. ე. ძერჟინსკისთან, ი. მ. სვერდლოვთან და მ. ს. ურიცკისთან ერთად იყო შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი სამხედრო-რევოლუციური ცენტრის წევრი. ცენტრალური კომიტეტის პარტიული სამხედრო-რევოლუციური ცენტრი შედიოდა საბჭოთა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში.

სოციალისტური რევოლუციის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი და უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღიდანვე, გააჩაღა აქტიური ბრძოლა მშვიდობისათვის. დეკრეტში ზავის შესახებ საბჭოთა სახელმწიფომ წინადადება მისცა ყველა მეომარ ქვეყანას დაედოთ საყოველთაო დემოკრატიული ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. მაგრამ, ანტანტის ქვეყნებმა (ინგლისმა, საფრანგეთმა, აშერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვებმა) უარი თქვეს საზავო მოლაპარაკებაზე, რამაც შეუძლებელი გახადა საყოველთაო ზავის დადება. მაშინ საბჭოთა მთავრობა, პირადად კი ი. ბ. ლენინი, შეუდგა საზავო მოლაპარაკებას გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან.

ბრესტის ზავის პერიოდში, როცა საბჭოთა ხელისუფლება ბევრი ტროცკის და ბუხარინის განსაცდელი მოქმედების შედეგად ბეწვზე ეკიდა, ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინის, ი. ვ. სვერდლოვთან, ფ. ე. ძერჟინსკთან (არტიომი) და სხვებთან ერთად მტკიცედ უმეორდა მხარს ცენტრალურ კომიტეტში ვ. ი. ლენინის პოზიციას ომისა და ზავის საკითხებში.

ი. ბ. სტალინი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ეროვნებების საქმეთა სახალხო კომისარიატს, დაუცხრომლად იბრძოდა, რათა განხორციელებინა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის მრავალი ხალხის გაერთიანებას ერთიან შეგობრულ ოჯახად პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე. იყო რა ამავე დროს სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი (ეს კომისარიატი შემდეგ გადაკეთდა მუშა-გლეხური ინსპექციის კომისარიატად), სტალინი დიდ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის.

რუსეთში იმპერიალისტური ჯვაჭვის გაწყვეტით დამთრთხალმა 14 კაპიტალისტურმა სახელმწიფომ იმის შიშით, რომ რუსეთის რევოლუცია რევოლუციურ ხანძარს დაანთებდა მათ ზურგში, მოაწყო ლაშქრობა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამასთან, ინტერვენტები ეცნობიერებენ შინაურ კონტრრევოლუციას რუსეთში, შემამულეთა და კაპიტალისტთა დამხობილ კლასებს, თვითგვარდიელებს.

პარტიამ მჭიდროდ შეაკავშირა მშრომელნი და დარაზმა ისინი წმინდა ომში უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის უარდობისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ი. ბ. სტალინი, რომელიც იყო რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი და პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი რიგ ფრონტებზე, მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა ბტერზე გამარჯვების ორგანიზაციას.

1922 წლის აპრილში, პარტიის XI ყრილობის შემდეგ, ი. ბ. სტალინი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ამ პოსტზე.

სამოქალაქო ომის შემდეგ კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის ბრძოლას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამის განხორციელებისათვის.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საკულტურო მშენებლობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა დაძლია უდიდესი სიძნელენი და დაბრკოლებანი, გაეფორებული წინააღმდეგობა დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ არაღიარებირებული ექსპლოატატორი კლასების, ისე სოფლად. მათი აგენტურა — ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები ცდილობდნენ აეცდინათ პარტია და ჩვენი ქვეყანა ლენინური გზიდან, მოესპოთ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვარი, აღდგინათ კაპიტალისტური წყობილება.

კომუნისტურმა პარტიამ განაღგურა გამცემლები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და მტკიცედ აიღო სოციალიზმის აშენების გეზი.

ტროცკისტ-ბუხარინელი მოღალატეებისაგან ლენინიზმის დაცვაში დიდი როლი შეასრულეს ი. ბ. სტალინის ისეთმა ნაწარმოებებმა, როგორიც არის „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, „ლენინიზმის საკითხებისათვის“, „ზემორკვევნე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიაში (ბ)“, „ოპორტუნიზმი პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“ და ბევრი სხვა. სტალინის შრომები წარმოადგენდნენ ლენინიზმის თეორიულ განვითარებას და საბჭოთაებს. ი. ბ. სტალინის წიგნები დაეხმარა კომუნისტებს ლენინიზმის დამპანიკებისათვის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს წიგნები დაეხმარა პარტიას განეკუთვნებინა მუშათა კლასის რწმენა, რომ შესაძლებელია სოციალისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა კავშირში საკუთარი ძალებით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა. მოკლე ვადაში ჩვენი ქვეყანა გადაიქცა დიდ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, შეიქმნა მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა. სოციალისტური ეკონომიკის განვითარებას თან ახლდა სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურის აყვავება. ახალმა საბჭოთა კონსტიტუციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1936 წელს, კანონმდებლობით დაამკვიდრა სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში.

საბჭოთა სახელმწიფოს ძალმა და ძლიერებამ, სოციალისტური წყობილების უპირატესობებმა უდიდეს განსაცდელს გაუძლეს სამამულო ომის წლებში.

საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის შთამაგონებელი და მებრძოლი ორგანიზატორი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო კომუნისტური პარტია. მან გამოიყვანა მთელი თავისი ძალები სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვის ორგანიზაციისათვის, იმისათვის, რომ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწია და გაენადგურებინა ფაშისტი აგრესორები.

1941 წლის 30 ივნისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ი. ბ. სტალინი დაინშნა აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონის წინააღმდეგ იმპერიალისტებისათვის გაუთვალისწინებელი შეიგებით დამთავრდა. იმპერიალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ მოისპობოდა სოციალიზმის ქვეყანა, სინამდვილეში კი უდიდესი და აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა კაპიტალისტურმა სისტემამ. მას ჩამოშორდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებმაც დამყარეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება და საბჭოთა კავშირთან ერთად შექმნეს სოციალიზმის ერთიანი და მძლავრი ბანაკი.

* * *

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეულ იქნა მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი. სამრეწველო წარმოების დონის მხრივ რუსეთი 50 — 100 წლით იყო ჩამორჩენილი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. ჩვენმა ქვეყანამ გაიქცია გოგანტური ნაბიჯები ჩამორჩენილობიდან სამრეწველო აყვავებისაკენ.

საბჭოთა კავშირი სამრეწველო წარმოების მოცულობით პირველ ადგილზე გამოვიდა ევროპაში და მეორე ადგილზე მსოფლიოში. ახლა საბჭოთა ხალხი პრაქტიკულად წყვეტს დიდ პრობლემას — უსოყვლეს ისტორიულ ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. განეწყვეტლივ იზრდება ეროვნული შემოსავალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა და ამაღლდა მათი კულტურული დონე.

ამ წარმატებების ვითარებაში გაიზარდა ი. ბ. სტალინის პოპულარობა და ავტორიტეტი. მადრან საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეულ ამ წარმატებებს უკავშირებდნენ მხოლოდ სტალინის სახელს. ამგვარად შეიქმნა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტი, რომელსაც ზიანი მიაყენა ჩვენს საერთო საქმეს.

ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის შედეგად დაშვებულმა შეცდომებმა, თუმცა ეს შეცდომები საბჭოთა საზოგადოების განვითარებას აფერხებდა, ვერ შეაჩერა ეს განვითარება და მით უმეტეს ვერ შეცვალა საბჭოთა წყობილების სოციალისტური ბუნება. თვით ი. ბ. სტალინის მთელი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო საბჭოთა ქვეყანაში დიდ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებასთან.

ჩვენმა პარტიამ აშკარად აღნიშნა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის მძიმე შედეგები, სერიოზული შეცდომები, რომლებიც მან დაუშვა ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში. XX ყრილობამ პრინციპულად გააკრიტიკა ეს შეცდომები და მიიღო ყველა საჭირო ღონისძიება მათი აღმოფხვრისათვის. ეს გადამწყვეტი თვითკრიტიკა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სოციალისტური წყობილების ძალისა და სიმტკიცის ახალი მტკიცე დადასტურებაა.

„აკრიტიკებდა რა სტალინის მოღვაწეობის არასწორ მხარეებს, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საოხებიდან სესიაზე 1957 წლის ნოემბერში, — პარტია იბრძოდა და ყველაფერ იბრძოლებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცილს დასწამებს სტალინს, ვინც პიროვნების კულტის კრიტიკის საბაბით მცდარად, დამახინჯებულად ხატავს ჩვენი პარტიის საქმიანობის მთელ ისტორიულ პერიოდს, რაც ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი. როგორც ყოფილი მარქსისტ-ლენინელი და მტკიცე რევოლუციონერი, სტალინი ჯერეთან ადგილს დაიკავებს ისტორიაში. ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს ეხსომებათ სტალინი და ჯეროვან პატივს სცემენ მას“.

სსკკ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში განხორციელდა, მოაქვს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება, კიდევ უფრო გაფხიკიცება მუშათა და გლეხთა კავშირი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, გამტკიცდა მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თანამეგობრობა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შეიდწლიანი გეგმა განასახიერებს პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს კომუნისტური მშენებლობის თანმიდროვე ეტაპზე. ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის ახალი, მძლავრი ალმავლობის ამ დიდებული პროგრამის ბადალი არ მოიძებნება ისტორიაში.

კომუნისტურ პარტიას საბჭოთა ხალხი მიაყვეს კომუნიზმის ბრწყინვალე მშვენიერებისაკენ ნაცადი ლენინური გზით, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე დროშით.

ი. ბ. სტალინის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის — იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ლამპაზად გაფორმებულ სტენდებზე გამოფენილია დიდი მარქსისტი-ლენინელის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მრავალფეროვანი მასალები — ფოტოსურათები, მხატვრული, მეცნიერული და პოლიტიკური ნაწარმოებები, მიძღვნილი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

ცალკე სტენდზე წარმოდგენილია ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემები ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სსრკ ფილოსოფიური და პოლიტიკური ლიტერატურის დიდი ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ვ. ი. ლენინისა და მისი მარჯვენა სტალინის თანამეგობრობის ამსახველ დოკუმენტებს.

ი. ბ. სტალინის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას ინტერესით ათვალიერებენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურეები და ჩვენი უნივერსიტეტის სტუმრები.

სტუდენტთა საგაჭრო დისციპლინის განმტკიცებისათვის გრძოლაში

სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის ფრიადოსანი სტუდენტი აღზნიარ ხელაშვილი რადიოტექნიკის ლაბორატორიაში ემზადება ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის.

ფოტო ა. გემგიანისა

ამჟამად სტუდენტთა ქალაქში თბილისის 11 უმაღლესი სასწავლებლის 2400-მდე სტუდენტი ცხოვრობს, რა თქმა უნდა, მეტად დიდი მეშობის ჩატარებაა საჭირო იქ, სადაც ამდენი ახალგაზრდობა იყრის თავს.

სტუდქალაქის სტუდენტთა საბჭოც მის შესანარჩუნებლად მაქსიმალური გამოყენებით მეშობს. სტუდქალაქში მცხოვრები სტუდენტებისათვის სისტემატიურად ტარდება ლექციო-მოხსენებები სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე, ტარდება შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, უფასო კონცერტები ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით და სხვა. ჩამოყალიბებულია ჭრა-კერვის და სამეჯლისო ცეკვების წრეები. მალე ჩამოყალიბდება ქართული ცეკვების და სამღერის წრეები. ყოველწლიურად ვეძლევით, რაც შეიძლება ავამაღლოთ სტუდენტთა კულტურული მომსახურება, სათანადო სიმაღლეზე დავიყენოთ სტუდენტთა შორის კულტმასობრივი და პოლიტ-აღმზრდელობითი მეშობა.

სტუდენტთა საბჭოს ამ საქმეში ჩაბმული მყავს ფართო აქტივი. იქ მცხოვრებ სტუდენტთა შორის ცოტა როდია ისეთი, რომლებიც სანიმუშო ქცევის მაგალითებს იძლევა. ასეთები არიან ა. გოგოლაძე (ფიზკულტურის ინსტ.), თ. ჩიკვილაძე, გ. სუბელიანი, ჯ. თოთმერია, ა. ნოღაიდელი, მ. შუბითიძე, შ. კონსტანტინიდი, გ. ყვანია, რ. სვანიძე, პ. ბედოიძე, ე. ნეფარიძე, ზ. ლურსმანაშვილი. (თსუ) ნ. მგელაძე, გ. მაჭარაძე, ო. დანელია, პ. კაპანაძე. (სახ. სამეურნეო ინსტ.), გ. კაპანაძე, გ. ონიანი. (სპი) და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ მიუხედავად ჩატარებული რიგი ღონისძიებებისა, სტუდენტთა ქალაქში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. თუნდაც ავიღოთ დისციპლინის საკითხი. მკითხველებს ემახსოვრებათ ამასწინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ფელეტონი — სათაურით: „ბიჭი ხარ და ნუ შეიჩვენები!". რომელშიც ასახული იყო სტუდქალაქში წესრიგის დარღვევის ზოგიერთი მაგალითი. სტუდენტთა საბჭო დაინტერესდა ამ საკითხით და გამოარკვია, რომ მსგავს დარღვევებს მართლაც აქვს ადგილი. გამოავლინა წესრიგის დამრღვევი ზოგი სტუდენტებიც. იცნობდეთ მათ: მ. ნადირაძე (მაილოგიის ფაკულტეტის IV კ.) ს. გაფლია (ისტორიის ფაკ. III კ.), რომლებიც ღამის საათებში მთვრალ მდგომარეობაში მყოფნი ხმაურობდნენ და არ აძლევდნენ სტუდენტებს მოსვენების საშუალებას. ამ დღეებში აღნიშნული სტუდენტების შესახებ სტუდსაბჭო ამსჯელებს და ისინიც ალბათ, დასჯნების გააკეთებენ.

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. მაჭავარიანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ექიმს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ამის შესახებ უკვე ამსჯელა სტუდენტთა საბჭომ და ახლო თავმჯდომარემ მოქმედებისათვის ვ. მაჭავარიანი გაასახლა სტუდენტთა ქალაქიდან.

სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ა. კოკაიამ, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, დებიში ატება VII კორპუსში, რასთანაც სტუდსაბჭომ სათანადოდ დასჯა იგი. ასევე დასჯილია სტუდენტებათვის შეუფერებელი საქციელისათვის პაუჩინის სახელობის პედინსტიტუტის სტუდენტი ლ. სუგაკეი. ჩვენ დისციპლინის დამრღვევთ ვიცნობდით რადიოში. — სათანადოდ აკრიტიკებს მათ ჩვენი ყველის გაზეთები „სტუდენტთა ხმა" (რედაქტორი რ. ჩაჩუა) და „ისპარი" (რედაქტორი გ. შეთეკაური).

ამ ღონისძიებათა შედეგად, მართალია, საგრძნობლად შემცირდა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები სტუდქალაქში, მაგრამ ჯერჯერობით მაინცა აქვს ადგილი ზემოაღნიშნულ ფაქტებს. განა სამარცხვინო არ არის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში „როდემდის გაგრძელდება ასე?" გკრახეებული ფაქტი, რომ ვიღაცამ, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, შეუფერებელი მოქცევით სტუდქალაქის ბიბლიოთეკაში მუყდრობა დაურღვია 60-მდე სტუდენტს? განა არ შეიძლებოდა ადგილზე დაშვიშის დაკვეთა, მისი ვინაობის შეტყობა?, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არავის გაუკეთებია. არაა მართალი, როცა უწესრიგობის მიზეზი ასე ფაქტობენ: ეს ჩემი საქმე არ არისო. თვითეული ჩვენგანის ამოცანაა მოვაკცეთ წესიერად და მეითხება მიეცეთ ამხანაგს, რომელიც წესრიგს არღვევს. მხოლოდ მაშინ შეძლებთ მოვალეობით სასურველ შედეგს.

ბოლო დროს საცხოვრებელი კორპუსების სტუდსაბჭოები უფრო გააქტიურდნენ. ზოგიერთ ოწვევენ კრებებს, სადაც ახალგაზ მეტად საჭიროა ტი საკითხებს. 18 დეკემბერს, მაგალითად, ჩატარდა VII და VIII კორპუსებში მცხოვრებ სტუდენტთა საერთო კრებები. (სტუდსაბჭოების თავმჯდომარეები ამხ. ლ. ზურაბიშვილი და ამხ. ნ. მგელაძე). ამ კრებებზე, როგორც მომზხენებელმა ისე ქამაში გამოსულმა ამხანაგებმა დაახალისეს დისციპლინის დარღვევი სტუდენტები და სათანადოდ გაკიცხეს ისინი. კარგი თათხნობაა ეს. ამას უნდა მივაღწიოთ ყველა კორპუსში. ბევრი გვაკვს სტუდსაბჭოს მოწინავე თავმჯდომარე, რომელიც ცდილობს მიაღწიოს წესრიგის დამყარებას თავის კორპუსში. ასეთებია: ლ. ზურაბაშვილი (VII კორპუსი), ვ. მეტრეველი (II კორპუსი) პ. კაპანაძე (IX ეს კორპუსი) გრ. ონიანი (XI კორპუსი) და სხვა.

საჭიროა მეტი ბრძოლა, რათა დამყარდეს სანიმუშო წესრიგი სტუდქალაქში, ამაზე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა იზრუნონ როგორც სტუდქალაქის სტუდსაბჭომ და კორპუსების სტუდსაბჭოებმა, ისე სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებმა თვითეულმა სტუდენტმა.

ბ. ჯორჯ ბარამია.
სტუდენტთა ქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე.

დაუსწრებელებთან

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სწავლების საკითხს. ახლა მშრომელებს დიდი შესაძლებლობები აქვთ არა მარტო ამაღლონ თვითანთი ზოგადი განათლება, არამედ ავარეთვე მიიღონ უმაღლესი განათლება და სპეციალობა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

მიმდინარე წელს ჩვენს უნივერსიტეტთანაც რიგ ფაკულტეტებზე და მათ შორის ფილოლოგიის ფაკულტეტთანაც შეიქმნა დაუსწრებელი სწავლების განყოფილება, სადაც I კურსზე 50-ზე მეტი სტუდენტი— დაუსწრებელი იღებს უმაღლეს განათლებას.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთათვის 7-დან 17 დეკემბრამდე სწავლების პირველი წლის პროგრამის მიხედვით მოაწყო ათდღიანი ცილი ლექციებისა. მეცადინეობა წარმატებით, მაღალ დონეზე ჩატარდა. ყოველმა სტუდენტმა მიიღო სათანადო პროგრამა და მეთოდური მითითება დამოუკიდებელი მეშობისათვის.

ლექციების მოსმენა სტუდენტებს დიდად დაეხმარა გარკვეულიყვნენ მათთვის ძნელად გასაგებ საკითხებში და მიეღოთ სწორი მიმართულება შემდგომი დამოუკიდებელი მეშობისათვის.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ლექციებს კითხულობენ ისეთი გამოცდილი პედაგოგები, როგორიც არიან დოც. თ. მჟავანაძე (თანამედროვე რუსული ენა), დოც. ვ. ნათაძე (რუსული ხალხური შემოქმედება — ფოლკლორი), დოც. მ. ბაისუბლოვა და დოც. დ. თუხარელი (რუსული ლიტერატურის ისტორია).

რაიონებში მცხოვრები დაუსწრებელების სათანადო სასწავლო ლიტერატურით უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ სტუდენტთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გაბნინა სათანადო ამონაწერები, რაც დიდად დაეხმარება დაუსწრებელად მომეცადინეებს მასალის ათვისებაში, გამოცდებისათვის სათანადოდ მომზადებაში.

ვ. კოკოვი.
ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების I კურსის სტუდენტი

რას ფიქრობენ სტუდქალაქში?

15, 16 და 17 დეკემბერს სტუდენტთა ქალაქში სინათლე ხან ქრებოდა და ხან ინთებოდა. 16 დეკემბერს არ მოდიოდა სასმელი წყალი. როგორც ჩანს, სტუდქალაქის ადმინისტრაცია „დიდად ზარხარა" რომ ხელი შეუწყოს სტუდენტებს და ყველა პირობა შეუქმნას ზამთრის საგამოცდო სესიებზე საგნების წარმატებით ჩაბარებისათვის. საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი?

ო. მამედოვა.

სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა

მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტის პედაგოგიის კათედრამ დროულად დაიწყო მზადება სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკისათვის: ჯამოფილ იქნა ჯგუფების ხელმძღვანელ-მკითხველები. ამავე დროს დროულად იქნა შერჩეული საბაზო სკოლები პრაქტიკისათვის. ჯერ კიდევ აგვისტოს პოლოს რიცხვებში მოიწყო მეთოდისტების თათბირი, რომელზეც პედაგოგიის კათედრის წევრებმა (პროფ. გ. თავზიშვილი, დოც. დ. ლორთქიფანიძე და სხვ.) წაკითხეს მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: 1. საათმრიცული მეშობა საბაზო სკოლებში, 2. საცდელი გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკა, 3. საცდელი გაკვეთილის გარჩევის მეთოდები და ხერხები და 4. როგორ უნდა ჩატარდეს პედაგოგიური პრაქტიკა. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის მიერ მიღებული კანონის შექმნის.

ასევე, სექტემბრის პირველ რიცხვებში პედაგოგიის კათედრამ, უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილთან ერთად, ჩატარა საბაზო სკოლების დირექტორების, მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელებისა და პიონერხელმძღვანელების თათბირი, სადაც განხილული იქნა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხები.

პირველ სემესტრში (1 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე) პედაგოგიური პრაქტიკა გაიარა ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურისა და აგრეთვე ისტორიის (აღმოსავლეთმცოდნეობის ჯგუფი) ფაკულტეტების 157 სტუდენტმა.

სტუდენტების უმეტესობამ მაღალხარისხოვნად ჩაატარა საცდელი გაკვეთილები საბაზო სკოლებში. პედაგოგიური პრაქტიკის დროს პრაქტიკანტი სტუდენტები დეტალურად გაეცნენ სკოლის მეშობას, კერძოდ კი კომკავშირის, პიონერთა ორგანიზაციისა და მოსწავლეთა ორგანიზაციების მეშობას. ამავე დროს თვითეულმა მათგანმა შეისრულა ორი აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიება (ექსკურსიის მოწყობა, თეორიული კონფერენციის, მეცნიერის კონფერენციის, საღამოების მოწყობა კინოსურათის განხილვა, მშობლებთან შეხვედრა, ჩამორჩენილებთან მეშობა. კედლის გაზეთის გამოშვება და სხვ.). ამ საქმეში მათ ხელმძღვანელობას უწევდნენ კათედრის წარმომადგენლები. მეთოდისტები, სკოლის მასწავლებლები.

მეშობის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდნენ მთელი რიგი მეთოდისტები და საბაზო სკოლების მასწავლებლები. ამ სხვის უნდა აღინიშნოს დოც. თებრონ კაკლიშვილის (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი). დოც ჰარმენ ხელაძის (ბიოლოგიის ფაკულტეტი), ნ. ჯაფარიძის (23-ე სშ. სკოლის ქიმიის მასწ.), გ. გაბიტაშვილის (53-ე სშ. სკოლის ბიოლოგიის მასწ.) და სხვების კარგი მეშობა.

მაგრამ, პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში ზოგიერთ ნაკლსაც ჰქონდა ადგილი, მაგ., 18 სექტემბერს ადგილზე არ აღმოჩნდნენ ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტები 42-ე საშუალო სკოლაში; ბიოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა გოგინეიშვილმა ახალი მასალის გადაცემას მხოლოდ შეიღი წუთი მოახმარა, ზეკვეთილს ყველა მომენტი წესიერად ვერ ჩატარა და დიდი დრო მოანდომა წინა მასალის გაშეთხობას; იყო შემთხვევაც, როცა მეთოდისტის დასწრების გარეშე ტარდებოდა სტუდენტის მიერ გადაცემული საცდელი გაკვეთილი და სხვ.

პრაქტიკანტ-სტუდენტი ზოგჯერ ვერ ახერხებდა ახალ მასალაზე გადასვლას, თხრობა ყოველთვის არ იყო დამაჯერებელი, თვალსაზრისი ხელსაწყობსაც ყოველთვის როდი იყენებდა თავის ადგილზე.

ამჟამად შედაგოგიური პრაქტიკა უკვე დასრულებულია და ფაკულტეტებზე შეჯამებითი კონფერენციები ჩატარდა, თუმცა ასეთი ჯერ კიდევ არ ჩატარებიათ ქიმიისა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტებს.

დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე პრაქტიკის ხელმძღვანელმა ვ. მურვანიძემ ამ მიმართულებით სრული უპასუხისგებლობა გამოიჩინა. საინტერესოა ამას რატომ არ აქცევს ყურადღებას ფაკულტეტის დეკანატი?

შედაგოგიის კათედრამ ამასწინათ მოისმინა შედაგოგიური პრაქტიკის შედეგები და მეშობის გაძლიერების მიზნით ჭასახა რიგი ღონისძიებები. კათედრამ განიზრახა მოყვე ხანში გამოუშვას სპეციალური დებულებები, ინსტრუქციები.

უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილისა და პედაგოგიის კათედრას განზრახული აქვს კიდევ უფრო გაზალონ მეშობა შერო სემესტრში ძედაგოგიური პრაქტიკის ხანით და ამით ხელი შეუწყონ სტუდენტთა პედაგოგიური განაღლების დაახლოებას ცხოვრებასთან, სკოლასთან.

პროფესორი **ალ. გოგიბაძე.**
უნივერსიტეტის პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია

ღრმად შეისწავლა შენი მშობლიური ბალის დიდებული წარსული, გაეცანი მის თავისებურებებში და აკეთილსინდისიერი მოღვაწეობით ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე შეასრულე, ეს დიდი და საპატიო მოვალეობაა.

სასიამოვნოა აღინიშნოს ის, რომ ამ ბრიგ საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სტუდენტთა საბჭოსი მიერ წაკითხული მოხსენებების განხილვაში და სხვ. წელს წრის სხდომებზე უკვე მოისმინეს და განიხილეს სტუდენტების—შ. ბაღონიძის, ზ. რატიანის, რ. გამცემლიძისა და სხვათა მოხსენებები.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო წრეს სტუდენტთა შემოქმედებითი ზრდის საქმეში, ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ იმნი, რომლებიც 7 დეკემბერს 95-ე აუდიტორიაში ეს წრის IV კურსის სტუდენტის — გურამ მამულაშვილის მიერ წაკითხულ სარეფერატო მოხსენებას: „ქ. ლენი და მისი „ჭართული მონარქია. უკანასკნელი დღეები“.

პროფ. დავით ლენი ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგია, რომელიც წარმატებით იკვლევდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს. მისი წვლილი საქართველოს შესახებ, რომელიც 1957 წელს ლონდონში გამოიცა, ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

პროფ. დ. ლენი ბეროუეზიელი მეცნიერია და მის მიერ მოკვლევი გაშუქება ზოგიერთი საკითხისა, ცხადია, საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის უცხო და მიუღებელია, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ინგლისში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც ქართული კულტურისა და ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის კვლევას ეწევიან, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ამდენად, სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის დიდი ინტერესი, რომელიც წრის წევრებმა გამოიჩინეს გ. გამცემლის მოხსენების მიმართ.

მომხსენებელმა დაწერილებით მოითხრობა დ. ლენის ზემოთასახელებული წიგნის თვითეული თავისა და ამავე დროს კრიტიკული ანალიზ. გაუქმა ავტორის მიერ გამოქმედ ზოგიერთ ჭოსაზრებას. მაგალითად, მომხსენებელი არ დაეთანხმა ავტორს საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის როლის შეფასებაში. საერთოდ; ასევე, საქართველოს მიერ რუსეთთან დადებული ვასილი ბიოჩნინა ამგვარი ტრაქტატის ცნობილობა შეფასებაში და მთელ რიგ კითხვებში.

საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, პროფ. შ. მესხიამ მოიწონა ის სარეფერატო წერილობა და საერთოდ მიიჩნია ამგვარი ტიპის მუშაობის შემდგომი გაშლა.

პროფ. შ. მესხიამ ამავე დროს გააკრიტიკა დ. ლენის მიერ მიღებული ჰერიოდიზაცია საქართველოს ისტორიისა, რომელიც ეერავითარ მეთოდოლოგიურ დასაბუთებას ვერ პოულობს.

—თუმცა ავტორს გააჩნია ახალი საინტერესო წყაროები საქართველოს შესახებ, — აღნიშნა პროფ. შ. მესხიამ, მაგრამ ამავე დროს იგი ყოველთვის ვერ სარგებლობს ქართული დოკუმენტური მასალით.

საერთოდ კი პროფ. შ. მესხიამ დადებითი შეფასება მისცა პროფ. დ. ლენის საინტერესო წიგნს საქართველოს შესახებ. ასევე, ცალკეულ შენიშვნებთან ერთად პროფ. შ. მესხიამ დადებითი შეფასება მისცა გ. მაღლაკის მოხსენებას და სასურველად მიაჩნია მისი დაბეჭდვა.

პროფ. ალ. წერეთელმა სერიული გამოთქვა, რომ ლენის წიგნი, სათანადო კრიტიკული შენიშვნებითა და კომენტარებით ქართულ ენაზე გამოიცეს.

სასურველია საქართველოს ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ შემომქედებითად გააგრძელოს ეს კარგი წამოწყება და ასეთი საინტერესო საკითხებით თავისი მუშაობა კიდევ უფრო მეტად შინაარსიანი და მიმზიდველი გახადოს.

კ. კინწურაშვილი



სურათზე: ქიმიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ელისო ნოზაძე ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიაში ემზადება გამოცდებისათვის.

ფოტო ზ. რუსიასი

გაინა ეს ეკადრებათ ფრიადოსნებს?!

ისტორიის ფაკ. ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც სწავლის ფრიადოსნად თვლიან და რომლის სურათიც ამშვენებს ფაკულტეტის საპატიო დაფას, ზერელედ ეკიდება საზოგადოებრივი დავალების შესრულებას. განსაკუთრებით უგულისხმურობას იჩენენ ასეთი ამხანაგები კედლის გაზეთის მიმართ. საკითხავია, თუ ფრიადოსანი სტუდენტი არ დაეხმარება რედაქციას კედლის გაზეთის გამოშვებაში, არ მიაწერდეს წერილებს ფაკულტეტის საჭირბოროტო საკითხებზე, მაშ ვინ უნდა დაეხმაროს? ასეთი სტუდენტები არიან ბ. ნიორაძე, შ. შილაკაძე, ი. კობახიძე, შ. ბადრაძე, ნ. ვარჩავე და სხვები. ამ ამხანაგებს არ სურთ თვი შეიწუხონ, ისინი ხომ ყველაზე, „მაღლა დგანან“— ბუთისნები არიან! ამ ამხანაგებმა უნდა შეიგნონ, რომ აუცილებელია საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობა, რომ მათი სურათების საპატიო დაფაზე მოთავსება არ ნიშნავს მათ გათავისუფლებას საზოგადოებრივი მუშაობისაგან. მ. ნიორაძემ სიხარულით წარმოადგინა სურათი საპატიო დაფაზე მოსათავსებლად. მაგრამ, როდესაც მას ხათოვეს წერილი დაეწერა კედლის გაზეთისათვის, თავიც არ შეიწუხა.

განა ეს ეკადრებათ ჩვენს ფრიადოსნებს?!

დ. გერიძე

ბურთსა და ფრენბურთში. უნივერსიტეტის 10 საუკეთესო ვაჟთა გუნდი უნდა შეხვედროდა რუსთავის მეტალურგიულ და აზოტოვან სასუქების ქარხნების სხვადასხვა საამქროების კალათბურთელებს.

დილის 11 საათზე შეჯიბრება დაიწყო. პირველი შეხვედრები უნივერსიტეტელთა წარმატებლობით დამთავრდა. ანგარიშით: აღმოსავლეთმცოდნეობის, ფიზიკოსებმა წაგეს სტუდენტები. 3:7 — ასე აღინიშნა რუსთაველი და ჩვენი კალათბურთელების შეხვედრების საერთო შედეგი — უნივერსიტეტელთა სასარგებლოდ.

უნივერსიტეტის სახელით შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მოსწავლე კალათბურთელებმა. ეს სკოლა უნივერსიტეტის საშუალო სკოლა და იქ მოსწავლე ბევრი ნორჩი სპორტსმენი ჩვენი აწვრთნელების ხელმძღვანელობით ეუფლება სპორტულ ტექნიკას. ნორჩმა კალათბურთელებმაც ჩვენს სპორტულ მოედნებზე შეისწავლეს კალათბურთის ანბანი. უნივერსიტეტში გადილ ისინი სისტემატურ საჭვრთნო ვარჯიშებს აწვრთნელის — ფ. ქამუშაძის ხელმძღვანელობით.

ეს დღეს ისინი პირველად იღებდნენ შეჯიბრებებში მონაწილეობას. ნორჩების დებიუტი კარგად დამთავრდა. მათ დამარცხეს ასაკობრივი კალათბურთელები — აზოტოვანი სასუქების ქარხნის № 5 საამქროს გუნდი.

კალათბურთში შეხვედრების დამთავრების შემდეგ მოედანზე გაძოვიდნენ ფრენბურთელები. ფილოლოგიის ფაკულტეტის ქალთა გუნდი შეხვდა მეტალურგიული ქარხნის ნაკრებს. სტუდენტებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს მშვილი ანგარიშით — 3:0.

მეორე შეხვედრა ფრენბურთში გაიმართა უნივერსიტეტისა და ორივე ქარხნის ვაჟთა ნაკრებ გუნდებს შორის. ჩვენმა გუნდმა დამაბული ბრძოლის შედეგად დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე.

ზაალ ჟვანია



სურათებზე: 1. (მარცხნივ)—ჩვენი უნივერსიტეტისა და ქ. რუსთავის მეტალურგიული და აზოტოვანი სასუქების ქარხნების ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრების ერთერთი მომენტი.

2. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ნორჩ კალათბურთელთა და ქალაქ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის № 5 საამქროს კალათბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრების ერთერთი მომენტი.

ფოტოები ბ. გაგუნიასი

სპორტის კმებზე

საინტერესო_ღონისძიება

21 დეკემბერს, ი. ბ. ტაბლიძის დაბადებიდან 80 წლისთავის დღეს, ფიზიკა-ზრდილობა და სპორტის კათედრამ და სპორტულმა კლუბმა ქალაქის ჭოგრაფში ჩაატარა მძლეოსნური ამხანაგრები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის 10 ფაკულტეტის 110 სტუდენტი (იურიდიულ ფაკულტეტს მონაწილეობა არ მიუღია).

ტრასა, რომლის სიგრძე უდრიდა 2 700 მეტრს, დაყოფილი იყო 11 ეტაპად. ტრასა იწყებოდა სტალინის ძეგლიდან სტალინის საბჭოლობის სანაპიროზე და გმირთა მოედნისა და ვარაზის ხვეის გავლით უნივერსიტეტამდე მიდიოდა.

თვითეული ფაკულტეტის გუნდი შედგებოდა ექვსი ვაჟისა და ხუთი ქალისაგან. სტარტი პირველად ვაჟებმა აიღეს. პირველ ეტაპზე ძირითადად ბრძოლა წარიმართა ფილოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ეკონომიური და ფიზიკის ფაკულტეტების სტუდენტებს შორის. მეხუთე ეტაპის შემდეგ ამ ოთხეულს თანდათან დაშორდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივი.

გმირთა მოედანი პირველმა გაიარნენ და ვარაზის ალმართს შეუდგნენ ფილოლოგიისა და ეკონომიური ფაკულტეტების სტუდენტები. ბოლო ეტაპებზე ფილოლოგიის ფაკულტეტიდან მონაწილეობას იღებდნენ სამართველოს ნაკრები. წევრები — სპორტის ოსტატი ლ. ივეულაძა და პირველთანრიგოსანი ა. ბეღუკაძე, რომელმაც გადაწყვიტეს პირველი ადგილის ბედი.

სპორტულად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდის გამარჯვებით, რომლის შედეგია 7.13,8 წამი, მეორე ადგილზე გამოვიდა ეკონომიური ფაკულტეტის გუნდი შედეგით — 7.18,0 წამი, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდათ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებს (7.34,0 წამი).

უნდა აღინიშნოს, რომ, ისე როგორც ქალთა სპარტაკიადის შეჯელების დროს, ჰქონა სულხან მეშაობამ იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელმაც ვერ შეძლო თერმიტაკიანი გუნდის დაკომპლექტება და ამ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულ გუნდებს სახვითი ვითარებაში გადაეცათ სპორტული ქლუბის სიგელები.

ბ. ტყეშელაშვილი

დამთავრდა საუნივერსიტეტო პირველობის ნახევარფინალი ჭადრაკში

18 ნოემბერს დაიწყო და დაახლოებით ერთი დღე გრძელდებოდა ნახევარფინალური შეკიბრება ჭადრაკში უნივერსიტეტის პირველობაზე.

მონაწილეები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში მონაწილეობას იღებდა 11 მოჭადრაკე, მეორეში — თორმეტი. დებიუტების თანახმად პირველი ჯგუფიდან ფინალში მონაწილეობის უფლებას იღებდნენ პირველ სამ ადგილზე გასული მონაწილენი, ხოლო მეორედან კი — პირველ ხუთ ადგილზე გამოსულნი.

პირველ ჯგუფში 9,5 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა პირველთანრიგოსანი ა. მეგრელიშვილი, რომელსაც არც ერთი დამარცხება არ განუცდია. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ა. ტყეშელაშვილმა (7 ქულა) და ბ. ჩიკვაიძემ (6,5 ქულა).

შედარებით დაძაბულად წარიმართა ბრძოლა პირველობისა და ფინალში მონაწილეობის მეორე ჯგუფში.

ამ ჯგუფში პირველ ადგილზე 9 ქულით გამოვიდა პირველთანრიგოსანი ა. მესხია, რომელმაც ყველაზე მეტი (7) გამარჯვება მოიპოვა. ზურიკ-მესხია ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა ნ. ლობკანიძემ და თ. ტაბიძემ (8,5 — 8,5 ქულა). მეოთხე ადგილი დაიკავა ჯ. მებრონიმ, რომელმაც 7,5 ქულა მოაგროვა. მეხუთე ადგილზე 7 ქულით გამოვიდა ე. ტერტერაშელი.

ფინალში, რომელიც გაიმართება მომავალი წლის თებერვალ-მარტში, გარდა ნახევარფინალებში გამარჯვებულებისა მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის ის მოჭადრაკეები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქ. თბილისის პირველობის ახლახან დამთავრებულ ნახევარფინალებში.

გოგელი მიქიაია

რუსთაველ მეგვალურგეებთან და ქიმიკოსებთან

დაიფო სწეფო ხელშეკრულება და საქმეც მალე დაიწყო...

კვირას, 20 დეკემბერს ჩვენი უნივერსიტეტის 120-კაციანი სპორტული დელეგაცია ეწვია მეტალურგიულ ქალაქს — რუსთავს. მეტალურგთა სახეიმოდ მორთულ ახალ სპორტულ დარბაზში თავი მოიყარეს რუსთაველმა სპორტის მოყვარულებმა.

საშუო ხელშეკრულების თანახმად დღეს აქ პირველად უნდა ჩატარებულიყო ძმაკაცური შეხვედრები კალათბურთსა და ფეხბურთში კალათბურთელები დამარცხდნენ მასპინძლებთან. შეხვედრა პირველი სამი გამარჯვება რუსთაველებისათვის ასისხარულო იყო, მაგრამ შემდეგ შეხვედრებში ჭკვიერად შეიცვალეთ ძალთა თანაფარდობა: ფიზიკის ფაკულტეტის პირველი გუნდი ამარცხებს მეტალურგიული ქარხნის ზუსტი სანერვოსო შემოწმების საამქროს კალათბურთელებს და, აქედან დაწყებული, გამარჯვებაზე გამარჯვებაზე აღ-

ᲒᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ორშაბათს, 1959 წლის 28 დეკემბერს, დღის 3 საათსა და 30 წუთზე ელკ კომიტეტის ოთახში მოწვეულია ჩვენი გაზეთის — „ახალგაზრდა სტალინელის“ კორესპონდენტთა თათბირი.

ფაკულტეტებზე გამოყოფილი საკუთარი კორესპონდენტების დასწრება სავალდებულოა.

რედაქცია

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-38-34.

ტ 2 სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2 000. შ. 08130.